# გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი



# აფსაროსში აღმოჩენილი ინტალიოები



**ტოპაზის ინტალიო, რომელზეც ტიქე-ფორტუნაა დატანილი**

სოლარული ღვთაება მისი მფლობელის რელიგიური ორიენტაციის მაჩვენებელია.

ვერცხლის ბეჭედში ჩასმული მოყავისფრო სარდიონის ინტალიო, რომელზედაც სტილიზირებული სამფურცელას გამოსახულებაა დატანილი. ნაკეთობა სქემატურად და უხეშადაა შესრულებული. თარიღდება II-III სს. მცენარეული მოტივი ძალზედ გავრცელებულია გლიპტიკაში. სტილიზირებული მცენარის კვირტები და ყვავილები სასანიდური ხელოვნებისათვის, თუმცა ეს სტილი ხშირად ანტიკურ გლიპტიკაშიც გვხვდება და პერსონალურ კეთილდღეობას უკავშირდება. არაა გამორიცხული, რომ ის სამების ადრექრისტიანულ სიმბოლოსაც წარმოადგენდეს.

ბოლოა პოლიქრომული აგატის ოვალური ინტალიო, რომელზეც დაზიანებული ასოებისგან შემდგარი წარწერებია დატანილი, თარიღდება III ს. საერთოდ, ბეჭედში ჩასმული აგატი ამულეტად გამოიყენებოდა და მფლობელს, ზოგადად მფარველობდა.



**საკურთხევლის, რვაწახნაგა ვარსკვლავის, სამფურცელას და წარწერებიანი ინტალიოები**


www.ajaraheritage.ge
info@ajaraheritage.ge
Gonio - Apsaros Fortress

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA





ვერცხლის ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი, რომელზეც საკურთხეველი და რვაწახნაგა ვარსკვლავია გამოსახული





ვერცხლის ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი, რომელზეც სამ-ფურცელაა გამოსახული



ალსანიშნავია ნარინჯისფერი ტოპაზის ინტალიო, რომელზეც ტიქე-ფორტუნაა დატანილი. ის 2000 წ. ალმოჩნდა და ახ. წ. II-III სს თარიღდება. ეს გამოსახულება ტიპურია ანტიკური გლიპტიკისატვის და მნიშვნელოვან პოპულარობას ელინისტური ხანიდან იძენს. მსგავსი გამოსახულებები საქართველოს სხვა ძეგლებიდანაცაა ცნობილი.

მოყავისფრო ტოპაზის ინტალიო, რომელზეც





ტიქე-ფორტუნას და დელფინის გამოსახულებიანი ინტალიოები

ნეპტუნის სიმბოლო დელფინია გამოსახული ვერცხლის ბეჭედში იყო ჩართული. ის ასევე II-III სს თარიღდება და პარალელებიც მრავლადაა საქართველოს სხვა კუთხეებიდან.

ვერცხლის ბეჭედი ღია-მოყავისფრო სარდიონის ინტალიოთი III ს. თარიღდება. მასზე საკურთხეველი და რვაწახნაგა ვარსკვლავია გამოსახული. ეს გამოსახულება ტიპურია ალმოსავლურიგლიპტიკისათვის და უკავშირდება სოლარულ სიმბოლიზმს, მაგალითად აჰურამაზდას. საერთოდ, რომაული წარმართობის ორიენტალიზაცია თუ ზოგადად სინკრეტიზმი პოლითეიზმის დამახასიათებელი კომპონენტი იყო, რაც მონოთეიზმისკენ სწრაფვას გამოხატავდა და იმპერიული რომის რელიგიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. საკურთხეველი, ჩირალდანი, პალმის რტო, გვირგვინი, გლობუსი, ყური და ა.შ. რომაული ლეგიონების კერძო გემები იყო. არაა გამორიცხული, რომ აფსაროსში ალმოჩენილი ცალი რომაელ ჯარისკაცის საკუთრება იყო და მისი იკონოგრაფიკული გამოსახულება,

